



# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

### დაბა ქედა



განკარგულება:გ-95. 95223391

თარიღი:05/12/2022

### **ინფრასტრუქტურული/კეთილმოწყობითი სამუშაოების გამო, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული ობიექტების აღების, (დემონტაჟის), განადგურების შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კომპენსაციის ოდენობისა და გაცემის პირობების განსაზღვრის შესახებ**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მთელი რიგი სამუშაოები განხორციელდა და ხორციელდება მუნიციპალიტეტის იერსახის მოწესრიგების მიზნით. მათგან ერთ-ერთია დაბა ქედაში, შოთა რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგება, სადაც უწესრიგოდ აშენებულია დამხმარე ტიპის შენობა-ნაგებობები, გაშენებულია მრავალწლიანი ნარგავები (ხეხილი) და ერთწლიანი კულტურები (ბოსტნეულის სახით), რომლებიც ამახინჯებდნენ მუნიციპალიტეტის იერსახეს. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დასახელებული ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით საჭირო გახდა ზემოთ დასახელებული ობიექტების აღება, დემონტაჟი, დაშლა და განადგურება, რამაც გამოიწვია მათ მფლობელებზე მატერიალური ზიანის მიყენება.

აღნიშნულის გამო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიიჩნია, რომ დემონტირებული ობიექტების მფლობელებს უნდა მიეცეთ გონივრული კომპენსაცია, რადგან მათ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ან მისი მოთხოვნის შედეგად დემონტირებული ობიექტები აშენებული/გაშენებული ჰქონდათ ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე, ან/და მათ გარეშე, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომლებსაც ფლობდნენ და იყენებდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ვინაიდან თავის დროზე მსგავსი ობიექტების უნებართვოდ განთავსება-მშენებლობის დაწყების ფაქტზე შესაბამისი სამსახურების მიმართ არ მომხდარა რეაგირება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, რაც გამოიწვია მოქალაქეების მიერ დანახარჯების გაწევას. შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო თვლის, რომ დემონტირებული ობიექტების (როგორც შენობების, ისე მრავალწლიანი და ერთწლიანი ნარგავების) მფლობელების მიერ განხორციელებულია იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები და ამ მოქმედებების მიმართ მათ გააჩნიათ კანონიერი ნდობა და ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო და საჯარო ინტერესების ერთიანობისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ან მისი მოთხოვნის შედეგად, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან მშენებლობის ნებართვით აშენებული კაპიტალური ქვის (ბეტონი) დამხმარე ტიპის (ავტოფარეხი, საკუჭნაო, სათავსო, ბოსელი) შენობის დემონტაჟისას, მის მფლობელზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცეს კომპენსაცია



7.3. ტყემალი - 1 კგ. - 1 (ერთი) ლარი.

7.4. ქლიავი - 1 კგ. - 1 (ერთი) ლარი.

7.5. ხურმა - 1 კგ. - 0.50 (ორმოცდაათი) თეთრი.

7.6. კაკალი - 1 კგ. - 10 (ათი) ლარი.

7.7. ყურძენი - 1 კგ. - 2 (ორი) ლარი.

8. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ან მისი მოთხოვნის შედეგად, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ერთწლიანი ნარგავების (ბოსტნეული კულტურების - კიტრი, პომიდორი და სხვა) განადგურებისას, მის მფლობელზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცეს კომპენსაცია 1 კგ. - 2 (ორი) ლარის ოდენობით.

9. წინამდებარე განკარგულების 1-ლი, მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკომპენსაციო თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს წერილობით განცხადებასთან ერთად ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტის წარდგენა:

9.1. შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა;

9.2. შესაბამისი სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტი;

9.3. შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული წერილი, რომელიც ადასტურებს ობიექტის სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარების ფაქტს;

9.4. ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტი;

9.5. საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება დემონტაჟს დაქვემდებარებულ ობიექტზე საკუთრების უფლება;

9.6. საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება დემონტაჟს დაქვემდებარებული ობიექტის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება;

9.7. მრავალბინიან სახვრებელ სახლზე მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის (მიწის ნაკვეთის მიკუთვნების) დამადასტურებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და მიწის ნაკვეთის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ობიექტი განთავსებული იყო მრავალბინიან სახვრებელ სახლზე მიკუთვნებულ ან/და საჯარო რეესტრში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე;

9.8. უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი, რომელიც ადასტურებს დემონტაჟს დაქვემდებარებული ობიექტის ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში რეგისტრაციის ფაქტს;

9.9. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (გადაწყვეტილება, დადგენილება, განკარგულება და სხვა), რომელიც ადასტურებს დემონტაჟს დაქვემდებარებული ობიექტის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის ფაქტს;

9.10. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ან/და შესაბამისი სამსახურების მიერ სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაგზავნილი მიმართვა, რომელიც შეიცავს ობიექტის სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარების დადასტურებას ან/და თხოვნას;

9.11. ობიექტის დემონტაჟის დროს შედგენილი აქტი.

10. წინამდებარე განკარგულების მე-2; მე-4; მე-6; მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკომპენსაციო თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს წერილობით განცხადებასთან ერთად ერთ-ერთი შემდეგი

## დოკუმენტის წარდგენა:

10.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისათვის წარდგენილი წერილობითი განცხადება ან/და დადგენილი წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომელიც შეიცავს პირდაპირ მითითებას ობიექტის კონკრეტული პირისადმი კუთვნილების შესახებ;

10.2. ნოტარიულად დამოწმებული არანაკლებ სამი მოწმის განცხადება (ჩვენება), რომელიც შეიცავს მითითებას ობიექტის კონკრეტული პირისადმი სარგებლობის (მფლობელობის) შესახებ.

10.3. ობიექტის დაშლის/დემონტაჟის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ნარგავების განადგურების დროს შედგენილი აქტი.

11. შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სამართლებრივი აქტის, ნებართვის ან შესაბამისი ნებართვის გარეშე აშენებული შენობის ფართობი იანგარიშება დემონტაჟის დროს შედგენილი აქტის შესაბამისად.

12. მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობა (ძირი) იანგარიშება განადგურების (მოჭრის) დროს შედგენილი აქტის შესაბამისად, ხოლო რაოდენობის გაანგარიშება კილოგრამებში ხდება საჰექტარო მოსავლიანობის ფართობის პროპორციულად ერთ წელზე გაანგარიშებით.

13. ერთწლიანი ნარგავების (ბოსტნეული კულტურები - კიტრი, პომიდორი და სხვა) რაოდენობის გაანგარიშება კილოგრამებში ხდება საჰექტარო მოსავლიანობის მიხედვით ფართობის პროპორციულად განადგურების დროს შედგენილი აქტის შესაბამისად.

14. წინამდებარე განკარგულების საფუძველზე კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომელთა დემონტაჟი/განადგურება განხორციელდა დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული/კეთილმოწყობითი სამუშაოების შემდეგ.

15. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) უზრუნველყოს დაშლილი/დემონტირებული შენობის, განადგურებული ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების მფლობელებზე საკომპენსაციო თანხის გაცემა.

16. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

17. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

18. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

19. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

